ქართული ემიგრაცია მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში

ედიშერ ჯაფარიძე, სტუ-ს დოქტორანტი

Summary

The article is dedicated Georgian Emigration in World Political Area, main goal of this article is complex research of Georgian emigration as in Political direction as in Economical section. We had definition Georgian Emigrates role and place in world political area. We will acquaint with many People about Georgian Emigration mite and them creative work. Them had bring in big role for European integration process and European studies (as study field) development. That's way it is important to study their life and very well know books in the world.

****

მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობის თვალსაზრისით, საქართველო შედარებით „ახალგაზრდა" ქვეყანაა – რეალურად, საქართველოდან მიგრაცია აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან. თუმცა, ამ პერიოდიდან უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო ემიგრაცია; ემიგრაცია საქართველოში გააქტიურდა ბოლო 4-5 წლის განმავლობაში საქართველოს მიერ გამოცხადებული ლიბერალური პოლიტიკის (მათ შორის, უცხოელთათვის საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა, უვიზო და გამარტივებული სავიზო შემოსვლის უფლება და ა.შ.) და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და სავიზო ლიბერალიზაციის ხელშეკრულების მოლაპარაკებების კონტექსტში.

ვფიქრობთ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის ისტორია სრულიად არ არის შესწავლილი და გაანალიზებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, მათ შორის საერთოდ უახლესი ისტორიის მოვლენებში. საჭირო და აუცილებელია კვლევაძიების გაგრძელება, მეცნიერული მიუკერძოებული ანალიზი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ევროპული ისტორიული მოვლენებისა. მიგვაჩნია, ჩვენი ნაშრომი არის, პირუთვნელი, ახალი გამოკვლევა საქართველოს ისტორიაში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის ადგილისა და როლის განზოგადებისათვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ხელისუფლების ემიგრაციას ევროპაში, ძირითადად საფრანგეთში, გერმანიაში, ქართველ-პოლიტიკოსთა საქმიანობას არა ერთი მეცნიერი შეხებია. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო უახლოეს პერიოდში გ. სულაძის მიერ გამოცემულმა ნაშრომმა: – „ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში". გ. სულაძის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა ემყარება საარქივო მდიდარ პირველ წყაროებს, რომლებიც დღემდე უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის. ნაშრომში თითქმის ზედმიწევნით სრულად არის გადმოცემული ქართველ პოლიტიკურ წარმომადგენელთა ბიოგრაფია, პირადი, ინდივიდუალური თვისებები, მათი ურთიერთობა ერთმანეთში და ევროპული სამყაროს გამოჩენილ პოლიტიკურ-სახელმწიფო მოღვაწეებთან. ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ხელისუფლებასთან ქართველ პოლიტიკოსთა დამოკიდებულება განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის 30-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული 50-იანი წლების დასასრულამდე საფრანგეთთან, გერმანიასთან, ინგლისთან, იტალიასთან. ეს დამოკიდებულება გამოიკვეთა ამ ქვეყნებში და მაშინდელ ევროპაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებთან უშუალო მონაწილეობაში, რასაც მათ თავისი, საკუთარი ეროვნული ინტერესების შესრულება კარნახობდა. [სულაძე, გ. 2010 გვ. 10-156]

ემიგრაცია - პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზეზების თუ უცხო ქვეყანაში მცირე ხნით, ან მუდმივად საცხოვრებლად წასვლაა, თუმცა დღეს ჩვენ ვიკვლევთ ემიგრაციას ორივე მიმართულებით : ემიგრაცია, როგორც ისტორიულ — პოლიტიკური მოვლენა უძველესი დროიდან დღემდე და ემიგრაცია , როგორც თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი.

წარმოდგენილი ნაშრომი მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეში ქართველი ემიგრანტების და ქართულ საზოგადოებრივ- პოლიტიკური ემიგრაციის საგანს იკვლევს , კერძოდ ქარველ ემიგრანტების საზოგადოებრივ- პოლიტიკურ და კულტურული საქმიანობის სფეროს. კვლევის საფუძველზე ვარკვევთ , თუ რა პრიორიტეტები ჰქონდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას, რა ღვაწლი შეიტანა მან ევროპული ღირებულებების პროპაგანდასა და მის საქართველომდე მოტანში.

გარე მიგრაცია მსოფლიო საზოგადოების ყურადრებას იპყრობს და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დღესაც. წარსულში ემიგრაცია საქართველოდან ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. საქართველოში დაწყებულმა მიგრაციულმა გადინებამ, რომელიც დღემდე გრძელდება, ჩვენი ქვეყნის დღევანდელობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ეს არის გადარჩენისაკენ მიმართული სტრატეგია. როგორც არსებულმა კვლევებმა უჩვენა, ძირითადი მიზეზი , რის გამოც ადამიანები საქართველოდან მიდიან ემიგრაციაში, იყო არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებს შრომითი მიგრაცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განვითარებაში. შრომითი მიგრაცია ობიექტური რეალობაა და გარეგნულად ხშირად უარყოფითი

ფონის მიუხედავად, უფრო მეტი დადებითი მომენტების შემცველია, ვიდრე უარყოფითისა. მსოფლიო მიგრაციულ ვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა სოციალისტური სისტემის პოლიტიკურმა დაშლამ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განვითარებულმა საყოველთაო კრიზისმა, ცხოვრების დონის მკვეთრმა გაუარესებამ, პოლიტიკური ვითარების დამძიმებამ მიგრაციის ახალი ტალღები წარმოშვა, როგორც ამ ქვეყნებს შორის, ისე ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიმართულებით. შესაბამისად, საქართველოშიც მიგრაციული ვითარება ეკონომიკურმა კოლაფსმა და შიგა და გარე შრომის ბაზრებზე შექმნილმა სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნის კანონზომიერებამ განსაზღვრა. განვითარდა ქვეყნისათვის არნახული ინტენსიურობის მქონე შრომითი მიგრაციული პროცესები.

ნაშრომის სიახლე იქნება ქართული ემიგრაციის ფენომენის კომპლექსური შესწავლა შუა საუკუნეებიდან დღემდე, მისი ღვაწლის პოზიტიური და ნეგატიური შედეგების ანალიზი , მისი პოტენციალის შესწავლა და საქართველოს სამსახურში ჩაყენება. მეცნიერული სიახლე კიდევ მდგომარეობს იმაში, რომ ის თავს მოუყრის ემიგრაციის, როგორც ისტორიულ პოლიტიკურ ისე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ერთობლიობას და ასახავს მეცნიერულ სიახლეები. ნაშრომში გაშუქებულია ქართული ემიგრაციის ისტორიულ —პოლიტიკური მოვლენები უძველესი დროიდან დღემდე. მეცნიერული სიახლეა აგრეთვე ისიც, რომ აღნიშნული დისერტაცია არის მეცნიერული გარღვევა აქამდე უცნობ და ცნობილ ღვაწლმოსილ ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობისა და შემოქმედების გაცნობისა. ზემოთ აღნიშნული თემები და ნაშრომები დღემდე შეუსწავლელი და უცნობია ქართველი მკითხველისათვის. რაც არ არის მართებული. ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ ევროინტეგრაციის და ევროპოლოგიის განვითარებაში შეტანილია ქართული წვლილიც, რითაც შეგვიძლია დღეს ვიამოყოთ.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ მეცნიერულად შესწავლილ მასალას, რომელიც დაგვეხმარება განვიმტკიცოთ ჩვენთვითონ ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა. უნდა დავანოხოთ ყველას, რომ საქართველო ევროპაში ცარიელი ხელებით კი არ შედის არამედ, გარკვეული კულტურული - საგანმანათლებლო მარაგით, რომელიც მას დაუგროვდა თავისი განვითარების ისტორიისმანძილზე .

ნაშრომის მიზანია, ქართული ემიგრაცია უძველესი დროიდან დღემდე ,,ისტორიულ - პოლიტიკური '' და თანამედროვე ემიგრაციის ,,სოციალურ-ეკონომიკური ''პრიორიტეტული თემების წინ წამოწევა და წარმოჩენა. მიგრაციის მეცნიერული შესწავლა ემსახურება პრაქტიკულ მიზანს–დადგინდეს მოსახლეობის გადაადგილების მიზეზები, მიმართულება, ინტენსივობა, და ა.შ. და ამ გადაადგლების შედეგები, ანუ გავლენა ადამიანების გასვლისა და შემოსვლის ადგილებში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაზე, მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე და ბუნებრივ გარემოზე. თუმცა, მოსახლეობის მიგრაცია კვლავაც რჩება უპირატესად დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის საგნად, მიგრაცია, როგორც კვლევის საგანი, თანდათან ინტეგრირდება ეკონომკურ და სოციალურ თეორიებში, სივრცობრივ ანალიზსა და ბიჰევიორისტულ თეორიებში. მიუხედავად მიგრაციის მრავალმხრივი შესწავლისა, ითვლება, რომ მიგრაციის რაიმე მწყობრი თეორია ჯერ ვერ ჩამოყალიბდა (გაჩეჩილაძე 1997:6). თუმცა ეს დღეს უკვე კვლავ აქტუალურია და მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. მიგრაცია არის პროცესი , რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება, და ის დღეს სულ უფრო აქტიურდება, მისი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი კი სოციალურ —ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძიებაა.

ნაშრომი შედგება შესავლისაგან , სამი თავისა და ცხრა ქვეთავისაგან, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. შესავალში საუბარია თემის აქტუალობასა და კვლევის მიზნებზე, აგრეთვე ნაშრომის სტრუქტურაზე და მის მეცნიერულ სიახლეებზე.

ნაშრომის პირველი თავში განხილული იქნება, ლიტერატურის ანალიტიკური მიმოხილვის საფუძველზე თემის აქტუალურობა. მოხდება ნაშრომის ფაბულის გახსნა და მისი მოვალეობებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. ხაზი გაესმება ქართული ემიგრაციის და ქართველი ემიგრანტების ადგილს და მნიშვნელობას მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილი იქნება ძირითადი პოლიტიკური პრობლემატიკა, მიგრაციული ნაკადების გადინება უცხოეთში, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად. 1924 წლის აჯანყება და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა და ეროვნული მთავრობის ემიგრაცია უცხოეთში. განხილული იქნება ქართული ემიგრაციის ეკონომიკური საფუძველი. მსჯელობა ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე იქნება აგებული.

მესამე თავი გაცილებით ვრცელია ვიდრე წინა ორი. აქ წარმოჩენილი იქნება ქართველი ემიგრანტების პოლიტიკური მოღვაწეობა ევროპაში , რუსეთში და აშშ-ში. კერძოდ ა. ნიკურაძის და მ. მუსხელიშვილის შეტანილი ქართული წვლილი ევროინტეგრაციაში და ევროპოლოგიაში, როგორც ინტერდისციპლინარული საგნის განვითარება - ჩამოყალიბებაში. ამსათანავე იგი წარმოადგენს კვლევის პროცესში მიღებული კონკრეტული შედეგების განსჯას. ხოლო დასკვნაში აისახება მეცნიერულად შესწავლილი და არგუმენტირებული მეცნიერული სიახლე და რეკომენდაციები, რომელიც შეთავაზებული იქნება სახელმწიფოსადმი დისერტანტის მიერ.

ნაშრომში გაშუქებული იქნება ქართული ემიგრაციის ისტორიულ —პოლიტიკური მოვლენები, ასევე ქართველი საუკუთესო პლეადის ემიგრანტების მსოფლიო მნიშვნებლობის, ალექსანდრე ნიკურაძის

და მიხეილ მუსხელიშვილის მოღვაწეობაც და მათი შემოქმედება. ისინი იყვნენ ცნობილი მკვლევარები , მეცნიერები, პროფესორები და საზოგადო მოღვაწეები. მათი ლექციების კურსები და ნაშრომები ვრცელდებოდა არა მხოლოდ ევროპაში არამედ მთელ მსოფლიოში. ა. ნიკურაძე იყო ქართველი ემიგრანტი გერმანიაში ხოლო მ. მუსხელიშვილი საფრანგეთში ანტი საბჭოთა იდეოლოგიის გამო.

ა. ნიკურაძე იყო პირველი ქართველი ევროპოლოგი, ქართულ —ევროპული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება ,, ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან, რომელიც გამოთქმულია ორიგინალური იდეები, სადაც დღეს ევროკავშირის კონსტიტუცია მის ფუნდამენტალურ იდეოლოგიაზე დგას. ასევე მან დიდი წვლილი შეიტანა ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის — როგორც ინტერდიციპლინარული დარგის ჩამოყალიბება - განვითარებაში. 1952 წლის სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ა. ნიკურაძის ინიციატივით ,, ლაბრევიერის '' სასახლეები შედგება ევროპელ მეცნიერთა კონგრესი, რომელმაც მიიღო მისი წინანდადება მცნება -ტერმინის ,, ევროპოლოგიის '' შემოღების შესახებ. ევროპოლოგია იმთავითვე გულისხმობდა ევროპულ მეცნიერთა დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოქსფორდში გამართულ მეცნიერთა მსოფლიო კონგრესზეც. მასვე ეკუთვნის ფუნდამენტალური და ცნობილი ნაშრომები, როგორც გერმანულ ისე ფრანგულ ენებზე: აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია , ოცნებითგან ვიდრე საქმემდე, სადაც მოცემულია ძალიან საინტერსეო დებულებანი, როგორც ევროინტეგრაციის იდეისათვის, ასევე საქართველოს ისტორიისათვის. და კიდევ დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარლელების ახსნის ცდა, დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით, სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის (კავკასია შესაძლო პირველ სამშობლოა სუმერთა ლითონის) და სხვა.

ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ევროკავშირი შეიქმნებოდა, როცა რობერტ შუმანი და ჟან მონე საუბრობდნენ ევროპის გაერთიანების იდეაზე, მ. მუსხელიშვილი და ა. ნიკურაძე ევროპის წამყვან ჟურნალ —გაზეთებში აქვეყნებდნენ ამავე თემაზე სტატიებს.

გაეროსა და სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი 1948 წელს მ. მუსხელიშვილი გახდა საფრანგეთში საუნივერსიტეტთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ-დამაარსებელი, ხოლო 1954 წლიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი. ხოლო ცოტა მოგვიანებით სტარასბურგში მან შექმნა ევროპული ცენტრი , მეცნიერული კვლევა —ძიებისა მუსხელიშვილის ცენტრის სახელწოდებით, რომელიც იკვლევდა ევროინტეგრაციის საკითხებს. პარალელურად ცენტრში იბეჭდებოდა პოლიტიკოსის შრომები ფრანგულ ენაზე. მათ შორისაა ევროპაში აღიარებული და საერთაშორისო მეცნიერთა წრეების მიერ გაზიარებული ნაშრომები : ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის , საქართველო და ევროპა, ევროპის ცივილიზაციის კრიზისი და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობა, ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა და სხვა. მ. მუსხელიშვილი იყო პირველი ქართველი ევროპელი, რომელიც, ევროკავშირის შექმნის მისეულ იდეას და ევროპულ ქვეყნებს შორის საზღვრების წაშლას ქადაგებდა. მან ომის შემდგომ , ევროპის გაერთიანების და მისი ფედერაციის იდეა წამოაყენა და დაიცვა, მისი აზრით ევროპული ფედერალიზმი — ეს არის არამარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია.....,, წერდა ის თავის ნაშრომში ,, ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა".

ნაშრომი დაეფუძვნება უახლოესი სამი წლის განმავლობაში მიღებული კვლევის შედეგებს , მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ კვლევის ძირითადი შედეგები შემდეგი პოსტულატების სახით:

ნაშრომის ძირითადი კვლევის მოსალოდნელი შედეგი იქნება ქართული ემიგრაციის კომპლექსური გამოკვლევა უძველესი დროიდან დღემდე და ერთ სადისერტაციო ნაშრომად თავმოყრა და გამოქვეყნება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქართული ემიგრაციის ზოგიერთ ასპექტებზე უამრავი ქართველი მეცნიერების ნაშრომები, მათი კომპლექსური კვლევა, როგორც ქართული ემიგრაცის ფენომენი დღემდე არაა შესწავლილი და გამოკვლეული.

ნაშრომის მეცნიერულად შესწავლის საფუძველზე მოხდება ქართული ემიგრაციის ფენომენის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საზოგოდოებრივი ადგილისა და როლის განსაზღვრა მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში.

კვლევის მნიშვნელოვან შედეგად აისახება ევროპაში ცნობილი, მაგრამ დღემდე უცნობი ქართველი ემიგრანტების ა. ნიკურაძის (ა. სანდერსის ფსევდონიმით) და მ. მუსხელიშვილის (მუსხელის ფსევდონიმით) პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროები. მათი როლი და ადგილი მსოფლიოს პოლიტკურ და კულტურულ პროცესებში.

მიღწეული შედეგი იქნება აგერთვე ქართველი ემიგრანტების მიერ ევროინტეგრაციაში და ევროპოლოგიაში, როგორც ინტერდისციპლინარული დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილის წარმოჩენა და ფართო აუდტორიისათვის გაცნობა. ასევე ქართული იდენტობის, ქართული ტრადიციების, ღირებულებების და ფასეულობების ევროპასთან მიახლოების და მსგავსება - განსხვავებების თეორიული და პრაქტიკული ასახვა.

ნაშრომის მნიშვნელოვანი კვლევის შედეგების გამოყენების პერსპექტივად შეიძლება ჩაითვალოს, სრულყოფილი ცოდნა კვლევის მიმართულებებისა და მომიჯნავე სფეროებისათვის. აღნიშნული სად-

ისერტაციო ნაშრომი პრაქტიკულად ფასეულია იმითაც, რომ მას გამოიყენებენ მომიჯნავე სფეროების, კერძოდ პოლიტოლოგიის, ევროპათმცოდნეობის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოება.

ნაშრომის მნიშვნელოვან შედეგად ჩაითვლება კვლევის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციები, რომელიც იქნება დისერტანტის მიერ სახელმწიფოსადმი შეთავაზებული, კერძოდ მიგრაციული პროცესების შეჩერების ალტერნატიული გზებისა და ქართულ ევროპული ურთიერთობის წახალისებისა და გაუმჯობესების მეთოდების შესახებ და ა.შშ.

ამ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობის მესვეურები ყურად იღებენ კვლევის შედეგებს, მათ პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესება შეეძლებათ , რაც ჩვენი აზრით, ზოგადად ქართული ემიგრაციის და საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობის ხარისხზე დადებითად უნდა აისახოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან , ტ 1, 2, 1994, 19995
2. გურამ შარაძე , უცხოეთის ცის ქვეშ, ტ 1,2,3
3. გელა სულაძე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამასახურები, 2012
4. გურამ შარაძე . ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ 1, 8
5. გიორგი მამულია , ემიგრაცია(რუსულად)
6. ვაჟა შუბითიძე, სამეცნიერო კონფერენცია ,საქართველო ევროპულ სივრცეში, შრომები. ევროინტეგრაცია და საქართთველო. გვ.141. 2010
7. იგორ კვესელავა, ჟურნალი საისტორიო ვერტიკალები №27, ემიგრაცია
8. ზ. ავალიშვილი , საქართველოს დამოუკიდებლობა
9. ილია ტაბაღუა ,საქართველოსევროპულიურთიერთობა